

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
2020 წლის შუალედური ფინანსური ანგარიში

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის

შუალედური ფინანსური ანგარიში

„ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესი“-ის მოთხოვნათა დაცვით შედგა უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შუალედური ანგარიშგება, რომელიც მიზნად ისახავს სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, როგორც გამოყენებული რესურსების, ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, დასახული მიზნების მიღწევის, ისე უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და არსებული მდგომარეობის შესახებ, ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფისათვის და მოიცავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს.


2020 წლის ბიუჯეტი შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N678 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით. 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტი განისაზღვრა 51 083 645 ლარით, ხოლო შუალედური ანგარიშის მომენტისთვის შეადგინა 57 158 975 ლარი.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსებით, კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებით, რომელიც გაწერილია ღონისძიებებისა და პროექტების მიხედვით. ღონისძიებები ფინანსდება, როგორც საკუთარი სახსრებით, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო გრანტებიდან მიღებული შემოსულობებით.

2020 წლის 6 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების თანხების გეგმა განისაზღვრა 5 805 310 ლარით, ხოლო საკუთარი სახსრებიდან მისაღები შემოსულობების გეგმა – 51 353 665 ლარს, მათ შორის:

სულ შემოსულობები საკუთარი სახსრების ჭრილში	51 353 665
1.სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	46 771 415

2.სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1 450 530
3.სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს ქვეპროგრამა „კოსტა ხეთაგუროვისა და დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“	2 100
4.პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“	27 300
5. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	3 102 320



2020 წლის 6 თვის მონაცემებით საკუთარი სახსრების შემოსულობების ნაშთი 2020 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა 60 025ლარს, შემოსულობების 6 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 24 870 679 ლარი, გადასახდელები-23 694 881 ლარი, ხოლო ნაშთი 01 ივლისისათვის შეადგენს 1 235 823 ლარს.

1.სწავლის საფასურიდან მიღებული 6 თვის საკასო შემოსავალმა შეადგინა 22 127 507 ლარი, ხოლო ხარჯებმა-21 072 926 ლარი.

2. სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 6 თვის საკასო შემოსავალი შეადგენს 1 417 681 ლარს, ხოლო ხარჯი-757 224 ლარს;

3.სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს ქვეპროგრამა „კოსტა ხეთაგუროვისა და დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ღონისძიების 6 თვის შემოსავალი და გაწეული ხარჯი შეადგენს 1 500 ლარს;

4. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“ ღონისძიების 6 თვის შემოსავალი და გაწეული ხარჯები იდენტურია და შეადგინა 27 300 ლარი;

5. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები მოიცავს „შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს“; შემოსავალს „დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან“; შემოსავალს სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან; „მიმდინარე ნებაყოფლობით ტრანსფერებს გრანტების გარდა“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სს „საქართველოს ბანკიდან“ და სან-დიეგოს უნივერსიტეტიდან ჩამორიცხულ თანხებს. შუალედური ანგარიშგების მომზადების პროცესში კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან 6 თვის საკასო შემოსავალმა ნაშთის(227 663ლარი) ჩათვლით შეადგინა 1 551 654 ლარი, გაწეულმა ხარჯებმა-1 419 832 ლარი.

6. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან 2019 წლის ბოლოს ნაშთად(610 260ლარი) დარჩენილი თანხებიდან, საკასო ხარჯმა შეადგინა 416 099 ლარი.

სწავლის საფასური უნივერსიტეტის საკუთარი სახსრების გეგმიური მოცულობის 91 %-ს შეადგენს, რომლის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი და 2020 წლის ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 46 771 415 ლარი, 6 თვის გეგმა შეადგენს 23 385 708 ლარს, ხოლო საკასო შემოსავალმა შეადგინა 22 127 507 ლარი, ანუ 1 258 201 ლარით ნაკლები, რაც გეგმის შესრულების 95%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხებით ფინანსდება, როგორც ფაკულტეტის, ასევე ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯები. 6 თვის შემოსულობების გეგმის შესრულება ფაკულტეტების მიხედვით გვამლევს ასეთ სურათს:

N	ფაკულტეტის დასახელება	შემოსულობების 2020 წლის 6 თვის გეგმა	შემოსულობების 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა ამოსაღებ თანხასა და საკასო შესრულებას შორის	შესრულების %
1	სამშენებლო	2 886 192	3 430 865	544 673	119
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	2 416 450	2 775 432	358 982	115
3	სამთო-გეოლოგიური	1 190 924	1 247 934	57 011	105
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 329 450	1 236 420	-93 030	93
5	სატრანსპორტო და მანაქანათმშენებლობა	1 845 555	1 421 404	-424 151	77
6	არქიტექტურა	1 030 875	1 082 445	51 570	105
7	ბიზნესტექნოლოგიები	2 305 000	1 970 701	-334 299	85
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 739 813	2 957 373	-782 440	79

9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	218 700	89 779	-128 921	41
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	2 045 063	2 556 254	511 192	125
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 818 000	1 331 204	-486 796	73
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	2 559 688	2 027 696	-531 992	79
	სულ:	23 385 708	22 127 507	-1 258 201	95

აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან დგინდება, რომ სწავლის საფასურის ამოღების თვალსაზრისით, პრობლემებია ყველა ფაკულტეტზე, პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი ფაკულტეტების გამონაკლისის გარდა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წინა წლების დავალიანების თანხა, რომელიც შეადგენს 2 591 916 ლარს, უნდა ამოღებულიყო გეგმიური მაჩვენებლების ზემოთ, ანუ 25 977 624 ლარი(23 385 708+2 591 916), მაშინ სხვაობა გეგმიურსა და ამოსაღებ თანხას შორის იქნება 3 850 117 ლარი(22 127 507-25 977 624), რაც შესრულების 85%-ია.

ფინანსური მდგომარეობის ასახვის მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ ფაკულტეტების 2020 წლის 6 თვეში მიღებული შემოსავლისა და გაწეული გადასახდელებისა და ხარჯების საკასო შესრულების მაჩვენებლები:

№	ფაკულტეტები	ფაკულტეტის განკარგვაში დარჩენილი 6 თვის საკასო შემოსავალი	6 თვის საკასო ხარჯები	შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე (პროფიციტი)	ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე (დეფიციტი)	ზარალის ხვედრი თი წილი	ზარალის გადანაწილება ფაკულტეტზე
1	სამშენებლო	2 613 128	1 708 821	904 308	0	30,2	585 986
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	1 982 963	1 515 509	467 454	0	15,6	302 863
3	სამთო-გეოლოგიური	1 271 814	1 075 439	196 374	0	7	127 231
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 236 153	1 237 796	0	-1 642	0	0
5	სატრანსპორტო და მანაქანათმშენებლობა	1 378 477	1 517 720	0	-139 242	0	0
6	არქიტექტურა და დიზაინი	905 214	715 963	189 251	0	6,3	122 616
7	ბიზნესტექნოლოგიები	1 533 654	1 350 261	183 393	0	6,1	118 820

8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 068 516	3 533 703	0	-465 187	0	0
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	125 894	236 981	0	-111 087	0	0
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	1 953 315	1 024 389	928 925	0	31,0	601 851
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 388 278	1 903 883	0	-515 605	0	0
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	1 682 773	1 557 120	125 654	0	4,2	81 411
13	ადმინისტრაცია, ადმინისტრირება	2 987 328	3 695 342	0	-708 014	0	0
	სულ	22 127 507	21 072 926	2 995 359	-1 940 778	100	1 940 778

6 თვის შემოსულობების საკასო შესრულება შეადგენს 22 127 507 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯები 21 072 926 ლარს, ანუ სხვაობა შეადგენს 1 054 581 ლარს, საიდანაც შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებამ(პროფიციტი)შეადგინა **2 998 359**ლარი, ხოლო ხარჯების შემოსავლებზე გადამეტებამ(დეფიციტი)-**1 940 778** ლარი. დეფიციტური ფაკულტეტებია:

1. ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 1 642 ლარი;
2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 139 242 ლარი;
3. ინფორმატიკა და მართვის სისტემების ფაკულტეტი-465 187 ლარი;
4. დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 111 087 ლარი;
5. საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების ფაკულტეტი - 515 605 ლარი;

აღნიშნულიდან ჩანს, რომ დეფიციტური ფაკულტეტების ხარჯები გაიწევა ფინანსურად მდგრადი ფაკულტეტების ხარჯზე, რითაც ზარალდება და ფერხდება აღნიშნული ფაკულტეტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული დაფინანსება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გასული 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ანგარიშის დასკვნით მოსალოდნელი წლიური შემოსავალი საკმარისი იყო მხოლოდ 11 თვის ხარჯისა და დეკემბრის თვის ხელფასის ნაწილობრივ დასაფარად, რაც რეალურადაც ასე მოხდა და ფაკულტეტებმა 2019 წელი დაასრულეს ზარალით და შეადგინა (-)1 774 260 ლარი, რომლის გადაფარვა მოხდა ღონისძიებებიდან, რომელთაც აღნიშნული თანხები ნაშთად უნდა დარჩენოდათ 2020 წლის 01 იანვრისათვის, კერძოდ:

- 1.სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები- 909 037 ლარი;
- 2.საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება-610 260 ლარი;

3. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“-27 300 ლარი;

4. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები-227 663 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ 6 თვეში მიღებულ დადებით სხვაობას 1 054 851 ლარს შევამცირებთ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისათვის აღსადგენი თანხებით, ანუ 1 774 260 ლარით, მაშინ მივიღებთ სხვაობას (-) 719 679 ლარის ოდენობით, მაგრამ თუ აღნიშნული სხვაობის შემცირება მოხდება „შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავლების“ 2020 წლის 01 ივლისისათვის არსებული ნაშთიდან(38 914 ლარი), მაშინ სხვაობა შემცირდება და იქნება (-)680 495 ლარი.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დაფინანსების პროცესი, რომელიც ფინანსდება, როგორც კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან(იჯარა, დეპოზიტები, თვითდაფინანსების ცენტრები), ასევე ფაკულტეტების მიერ მიღებული შემოსავლების გარკვეული პროცენტის გადმოცემით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების 6 თვის შესრულების მონაცემები დეფიციტურია და შეადგენს(-)708 014 ლარს. აღნიშნული დისბალანსის უმთავრესი მიზეზია ის, რომ ბიუჯეტი დაიგეგმა არასრულყოფილად, ანუ თანხა 5 918 617 ლარი სრულად ვერ უზრუნველყოფდა ადმინისტრაციის შტატგარეშე მომუშავეთა, კომუნალური გადასახადებისა და ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს.

მოსალოდნელი ფინანსური რისკების დასათვლელად გაანგარიშებულ იქნა შემდეგი 6 თვის მოსალოდნელი შემოსულობები და მოსალოდნელი გასაწევი ხარჯები.

თუ ჩავთვლით, რომ 2020 წლის სწავლებიდან მისაღები შემოსავლის გეგმა დარჩება უცვლელი, ანუ 46 711 415 ლარი და მხედველობაში მივიღებთ წინა წლების შესრულების სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე გავითვალისწინებთ პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობას და ამოღების პროცენტულ მაჩვენებლად განვსაზღვრავთ 92 %-ს, მაშინ სწავლის საფასურიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი იქნება 43 095 195 ლარი.

მოსალოდნელი რისკების განსასაზღვრად, გამოანგარიშებულ იქნა 2020 წლის 6 თვის მოსალოდნელი ხარჯი, რომელიც დაემატა 6 თვის ხარჯების საკასო შესრულების მაჩვენებლებს, რის შედეგადაც მივიღებთ ასეთ სურათს:

N	დასახელება	6 თვის საკასო ხარჯი	6 თვის მოსალოდნელი ხარჯი	სულ 2020 წლის გადასახდელები	ხვედრი თი წილი გადასახდელები ს მიმართ
1	შრომის ანაზღაურება	14 160 865	14 500 705	28 661 570	66,2
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4 300 090	4 213 730	8 513 820	19,7

3	ოფისის ხარჯები	1 356 275	503 510	1 919 785	4,4
3 1	ელექტროენერგია	368 080	200 000	568 080	
3 2	წყალი	169 415	120 000	289 415	
3 3	ბუნებრივი აირი	715 800	120 000	835 800	
3 4	ინტერნეტი	19 800	19 800	39 600	
3 5	კავშირგაბმულობა	32 470	30 000	62 470	
3 6	ლიფტების მომსახურება	13 710	13 710	27 420	
3,7	საკანცელარიო ხარჯები; მცირეფასიანი საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეძენის ხარჯები	37 000	60 000	97 000	
4	სხვა ხარჯები	857 090	1 867 260	2 724 350	6,3
4 1	საგადასახადო ვალდებულებები	0	1 033 280	1 033 280	
4 2	ავსტრიის ბანკის მარჟა	124 040	124 040	248 080	
4 3	მოსაკრებლები	29 915	33 700	63 615	
4 4	ემერიტუსის ანაზღაურება	703 135	676 240	1 379 375	
5	სოციალური უზრუნველყოფა	66 415	93 085	159 500	0,4
6	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	8 395	11 605	20 000	
7	არაფინანსური აქტივები	70 209	810 725	880 934	2,0
7 1	ძირითადი აქტივები	20 914	375 000	395 914	
7 2	არაწარმოებული აქტივები(აკრედიტაციის გადასახადი)	49 295	435 725	485 020	
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	253 585	130 186	383 771	0,9
	სულ:	21 072 924	23 341 784	43 263 730	100

როგორც ვხედავთ, წლის განმავლობაში გასაწევმა მოსალოდნელმა ხარჯებმა შეადგინა 43 263 730 ლარი, ხოლო მოსალოდნელმა შემოსულობებმა - 43 095 195 ლარი, ანუ დეფიციტი შეადგენს 168 535 ლარს. რაც იმას ნიშნავს, რომ „ძირითადი აქტივებისათვის“ შესაძენად განსაზღვრული თანხა, სრულად ვერ იქნება ფინანსურად უზრუნველყოფილი. მოსალოდნელ გასაწევ ხარჯებში(43 213 730ლარი), შრომის ანაზღაურებაზე და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გასაწევი ხარჯი შეადგენს 37 175 390 ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 85.9%-ია, „ოფისის ხარჯები“ შეადგენს 4,4 %-ს; „სხვა ხარჯები“-6,3%-ს, „სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები“-0,5%-ს, „არაფინანსური აქტივების ზრდა“-2 %-ს, ხოლო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ მხოლოდ 0.9%-ია. აქ მოყვანილი მაჩვენებლები

სასიცოცხლოდ აუცილებელია უნივერსიტეტისათვის და არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო სახსრებს.

მეტი სიცხადისათვის წლის განმავლობაში გასაწევი მოსალოდნელი ხარჯები ჩაიშალა ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების მიხედვით:

№	ფაკულტეტები	შრომის ანაზღაურება და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	ოფისის ხარჯები(კომუნალური და სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები)	სხვა ხარჯები(საგადასახდელი ვალდებულებები, ავსტრიის ბანკის მარჟა; ემერიტუსის ანაზღაურება)	სოციალური უზრუნველყოფა	არაფინანსური აქტივები (არაწარმოებული აქტივები ; სხვა ძირითადი აქტივები)	სხვა დანარჩენი (მივლინებები, სამედიცინო ხარჯები, უნიფორმის შეძენის ხარჯები, სხვა დანარჩენი ხარჯები)	სულ მოსალოდნელი წლიური ხარჯები
1	სამშენებლო	3 049 000	119 300	481 546	15 000	0	20000	71792
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	2 525 100	195 300	360 956	12 000	0	59000	10554
3	სამთო-გეოლოგიური	1 894 100	117 340	181 500	8 000	0	91100	28770
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 951 300	228 130	216986	10 000	0	58653	2631
5	სატრანსპორტო და მანაქანათმშენებლობა	2 462 800	149 080	306 237	10 000	0	95 920	12873
6	არქიტექტურა და დიზაინი	1 317 100	105 600	118 228	9 500	0	0	12219
7	ბიზნესტექნოლოგიები	2 540 000	95 730	142 035	12 000	0	5520	12190
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	6 119 000	275 290	509 245	15 000	0	79347	23960
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	500 390	17 000	325	1000	0	0	0
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	1 845 000	191 350	171 290	15 000	0	427 000	48723
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	3 285 000	89 670	134 176	12 000	0	0	4494
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	2 800 000	97 430	101 826	15 000	0	36 144	106355
13	ადმინისტრაცია	6 886 600	238 565	0	25 000	20 000	8 250	49210
	სულ	37 175 390	1 861 735	2 724 348	206 500	880 934	364 823	43 230 730

ფაკულტეტების ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, სავარაუდოდ მისაღები შემოსულობები დავუპირისპირეთ წლის განმავლობაში გასაწევ სავარაუდო ხარჯებს:

№	ფაკულტეტები	შემოსულობების წლიური გეგმა	შესრულების %	ფაკულტეტის განკარგვაში დარჩენილი მოსალოდნელი შემოსავალი	წლიური მოსალოდნელი ხარჯები	შემოსულობების გადამეტება ა ხარჯებზე (პროფიციტი)	ხარჯების გადამეტება შემოსულობებზე (დეფიციტი)
1	სამშენებლო	5 772 384	100	4 325 628	3 756 638	568 990	0
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	4 832 900	100	3 411 497	3 162 910	248 587	0
3	სამთო-გეოლოგიური	2 381 847	92	2 239 059	2 320 810		-81 751
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	2 658 900	85	2 265 133	2 467 700		-202 567
5	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა	3 691 109	85	3 046 909	3 036 910	9 999	0
6	არქიტექტურა და დიზაინი	2 061 750	100	1 720 652	1 562 647	158 005	0
7	ბიზნესტექნოლოგიები	4 610 000	92	3 311 641	2 807 475	504 166	0
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	7 479 625	85	6 548 935	7 021 842		-472 907
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	437 400	80	422 150	518 715		-96 565
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	4 090 125	100	3 098 715	2 698 363	400 352	0
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	3 636 000	85	3 126 358	3 525 340		-398 982
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	5 119 375	92	3 948 998	3 156 755	792 243	0
13	ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადასაცემი თანხა	0	0	5 629 519	7 227 625	0	-1 598 106
	სულ	46 771 415	92,0	43 095 195	43 263 730	2 682 342	-2 850 877

ირკვევა, რომ პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი და მდგრადი ფინანსური მდგომარეობის ფაკულტეტების ბიუჯეტებიდან მოხდება დეფიციტური ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის შევსება, ხოლო თუ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის ხარჯების გაწევა მოხდება „კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან“, ეს საშუალებას მისცემს ფაკულტეტებს განახორციელონ შესყიდვები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა 6 თვის საკასო შემოსავალი „კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან“ არ იძლევა ამის საფუძველს, რადგან აღნიშნული ღონისძიებების საკასო შემოსავალი ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 1 551 654 ლარს, აქედან შემოსავალი „შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან“, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების გაწერა, 6 თვის გეგმით გათვალისწინებული 400 000 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 105 602 ლარია შემოსული. აქედან გამომდინარე ადმინისტრაციის ხარჯების მთელი სიმძიმე ისევ ფაკულტეტებზე გადავა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფაკულტეტების დასაფინანსებლად 2019 წელს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებების სახსრები 1 774 260 ლარის ოდენობით, რომელიც 2020 წლის 01 ივლისისათვის შემცირდა 1 093 765 ლარით და სხვაობამ შეადგინა (-)680 765 ლარი, რაც წლის ბოლომდე იქნება დაფარული. მოსალოდნელი შემოსავალი საკმარისი იქნება უნივერსიტეტის ხელფასით, შტატგარეშეთა, ემერიტუსის ანაზღაურების, კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვისთვის, ხოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის გასაწევ ხარჯებზე, რომელიც ისედაც ძალიან მცირეა, მოგვიწევს უარის თქმა.

ასეთი სიტუაციიდან გამოსვლისათვის, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. შესრულდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ქვოტა, სტუდენტებისა და დამხმარე პერსონალის თანაფარდობის შესახებ;
2. გამსხვილდეს და გაერთიანდეს სასწავლო ჯგუფები;
3. მკაცრად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვები;
4. დადგენილი ქვოტის ზემოთ არ მოხდეს ემერიტუსის წოდებაზე თანამშრომელთა წარდგენა;
5. შესრულდეს სტუ-საკადემიური საბჭოსდა სენატის 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი სხდომის ოქმიN6 დადგენილების მოთხოვნები-ემერიტუსის წოდების მინიჭების შემთხვევაში გამოთავისუფლებული საათები ანაზღაურდეს საათობრივი დატვირთვის შესაბამისად და ემერიტუსს არ მიეცეს აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრული ანაზღაურება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასწავლო წელი და ფინანსური წელი ერთმანეთს არ ემთხვევა. იანვრიდან სექტემბრამდე გადახდილი სწავლის საფასური წლიური გადასახდის ნახევარს შეადგენს, ანუ 8 თვის ხარჯები მხოლოდ 6 თვის შემოსავლის ხარჯზე გაიწევა, ამიტომ წლის დასაწყისში აუცილებელია ვიქონოთ ნაშთის სახით თავისუფალი სახსრები, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეუფერხებლად გავწიოთ ხარჯები და კიდევ მეტად

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მთელი გადასახდელების 86,0 % შრომის ანაზღაურებაზე და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მოდის, რაც განვითარების არავითარ პერსპექტივას არ იძლევა.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ეხება სტუდენტის **სტატუსის შეჩერების საკითხს, დღემდე არ არის გამოსწორებული**. კერძოდ, სტატუსის შეჩერებაზე ბრძანება იწერება სასწავლო წლის მეორე სემესტრში, რომ სტუდენტს ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი უჩერდება სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს აღნიშნულ პერიოდში ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ არ გააჩნია. ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე ფინანსური დავალიანების გამო უნდა განხორციელდეს იმ სემესტრის დასაწყისში, რომელ სემესტრშიც წარმოეშობა დავალიანება, ან თუ კი სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფინანსური დავალიანების გამო ხდება სემესტრის ბოლოს, სასურველია შეჩერების ბრძანებაშიც მიეთითოს „შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო პირველი/(მეორე) სემესტრის ბოლოდან, რა შემთხვევაშიც სტუდენტს ვალად დაეკისრება ფინანსური დავალიანება“.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

კარლო კოპალიანი